




# პარასპეციალისტის სოციალური მუშაობის გზაგაყვანი თემის ღირებულებისთვის:

ოჯახში ძალადობის რისკის ქვეშ მყოფი და  
ძალადობაგამოვლილი ქალების მხარდასაჭერად



2025



**პარასპეციალისტის  
სოციალური მუშაობის  
გზამკვლევი თემის ლიდერებისთვის:  
ოჯახში ძალადობის რისკის ქვეშ მყოფი  
და ძალადობაგამოვლილი ქალების  
მხარდასაჭერად**

2025

---

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა,  
არ გამოსატავდეს დონორი ორგანიზაციის მოსაზრებებს

## სარჩევი

<b>შესავალი</b> .....	4
გზამკვლევის შესახებ.....	4
ვისთვის არის განკუთვნილი გზამკვლევი?.....	4
რატომ არის ეს გზამკვლევი მნიშვნელოვანი?.....	5
<b>თავი I. პარასპეციალისტების სოციალური მუშაობის არსი</b> .....	7
1.1. ვინ არის პარასპეციალისტი სოციალური მუშაკი? .....	7
1.2. სათემო ლიდერის, როგორც სოციალური სფეროს პარასპეციალისტის, როლი .....	8
<b>თავი 2. პარასპეციალისტის ძირითადი უნარები სოციალურ მუშაობაში</b> .....	10
2.1. აქტიური მოსმენა და ეფექტიანი კომუნიკაცია.....	10
2.2. ნდობისა და ემოციური კავშირის ჩამოყალიბება .....	11
2.3. ემპათია და მიუკერძოებელი მიდგომა.....	12
2.4. პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობა.....	13
2.5. კონფლიქტების მართვა და მხარდაჭერა რთულ სიტუაციებში.....	14
<b>თავი 3. ტრავმაზე ორიენტირებული მიდგომა სოციალურ მუშაობაში</b> .....	15
რა არის ტრავმა?.....	15
ტრავმაზე ორიენტირებული მიდგომის ძირითადი პრინციპები .....	16

<b>თავი 4. უსაფრთხოების გეგმის შედგენა .....</b>	<b>18</b>
უსაფრთხოების გეგმის ძირითადი ელემენტები .....	18
როგორ იცვლება უსაფრთხოების გეგმა, ქალის მდგომარეობიდან გამომდინარე .....	19
<b>თავი 5. გადამისამართება და თანამშრომლობა მომსახურების მიმწოდებლებთან .....</b>	<b>20</b>
5.1. ვისთან უნდა მოხდეს გადამისამართება .....	20
5.2. როგორ ჩამოვაცალიბოთ სანდო გადამისამართების ქსელი .....	21
5.3. გადამისამართების პრაქტიკული რეკომენდაციები .....	22
<b>თავი 6. მხარდაჭერის სტრატეგიები განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ქალებისთვის .....</b>	<b>24</b>
6.1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები .....	24
6.2. იძულებით გადაადგილებული ქალები (დევნილები) .....	25
6.3. ხანდაზმული ქალები .....	25
6.4 ქალები იზოლირებულ ან მარგინალიზებულ თემებში .....	26
<b>თავი 7. თვითზრუნვა და ემოციური გადატვირთვის პრევენცია პარასპეციალისტებისთვის .....</b>	<b>27</b>
სასარგებლო რესურსები და კონტაქტები .....	28
გამოყენებული წყაროები .....	30
შენიშვნა .....	31

## შესავალი

### გზამკვლევის შესახებ

წინამდებარე გზამკვლევი მომზადებულია ქალთა ფონდი „სოხუმის“ მიერ, კანადის თანასწორობის ფონდის მხარდაჭერით. დოკუმენტი წარმოადგენს პრაქტიკულ და სიღრმისეულ რესურსს იმ საზოგადოებრივი და სათემო ლიდერებისათვის, რომლებიც მჭიდროდ ურთიერთქმედებენ და თანამშრომლობენ ქალებთან ადგილობრივ დონეზე. აღნიშნულ სათემო ლიდერებს უმნიშვნელოვანესი როლი აკისრიათ იმ ქალების მხარდაჭერაში, რომლებიც განიცდიან ოჯახურ ძალადობას, ან იმყოფებიან ძალადობის რისკის ქვეშ.

მრავალი ქალი, რომელიც კრიზისულ პირობებში ცხოვრობს, ვერ ახერხებს ძალადობრივი გარემოსგან დროულ განრიდებას. ხშირად ისინი ვერ აღიქვამენ საფრთხის სიმძიმეს, ან არ ფლობენ საკმარის ინფორმაციას არსებული დაცვის მექანიზმების შესახებ. ხშირია შემთხვევები, როცა დახმარების და მხარდაჭერის ძიებისგან მათ აბრკოლებთ სირცხვილის გრძნობა, შიში, სოციალური მხრიდან განკითხვა ან სახელმწიფოს ინსტიტუტებისადმი უნდობლობა. სწორედ ამ რეალობაში სათემო ლიდერებისგან მიღებული ინფორმაცია და მხარდაჭერა, შესაძლოა, გადამწყვეტ მნიშვნელობას ატარებდეს.

### ვისთვის არის განკუთვნილი გზამკვლევი?

გზამკვლევი განკუთვნილია იმ ადამიანებისთვის, რომლებიც მუშაობენ ადგილობრივ თემებში, განსაკუთრებით ქალებთან:

- საზოგადოებრივი ლიდერებისა და თემის აქტივისტებისთვის, რომლებიც ჩართულნი არიან ქალთა დაცვის ან გაძლიერების საქმეში;
- ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რომლებიც აქტიურად მუშაობენ ოჯახში ძალადობის პრევენციისა და რეაგირების საკითხებზე;

- იმ უწყებების წარმომადგენლებისთვის, მაგ., სოფლებში მერის წარმომადგენლები, მუნიციპალური სოციალური სამსახურის წარმომადგენლები, რომლებიც თანამშრომლობენ თემის ლიდერთან ძალადობის შემთხვევებზე;
- ადვოკატირების ჯგუფებისთვის, რომლებსაც სურთ, გააძლიერონ ქალთა დაცვის მექანიზმები და გაზარდონ თემზე დაფუძნებული რეაგირების ეფექტიანობა.

აღნიშნული გზამკვლევი არ არის განკუთვნილი მხოლოდ სპეციალურად გადამზადებული სპეციალისტებისთვის. ის განკუთვნილია თემში აქტიური პირებისა და მოხალისეთა პრაქტიკული უნარებითა და ცოდნით აღჭურვისთვის, რაც აუცილებელია ოჯახში ძალადობაგამოვლილი ან ძალადობის რისკის ქვეშ მყოფი ქალების მხარდაჭერისა და სწორ სერვისებზე გადამისამართებისთვის.

### **რატომ არის ეს გზამკვლევი მნიშვნელოვანი?**

ოჯახში ძალადობაგამოვლილი ან რისკის ქვეშ მყოფი ქალები ხშირად ვერ სარგებლობენ სახელმწიფო ან სპეციალიზებული დახმარებით მრავალი მიზეზისა და ბარიერის გამო:

- ⇒ მოძალადის მხრიდან შურისძიების შიში;
- ⇒ სირცხვილი და საზოგადოებრივი სტიგმა;
- ⇒ მოძალადეზე ეკონომიკური დამოკიდებულება, რაც აფერხებს ძალადობრივი გარემოს დატოვებას;
- ⇒ სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ (მაგ., პოლიცია) უნდობლობა;
- ⇒ არსებული მხარდაჭერის სერვისების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა;
- ⇒ არსებული მხარდაჭერის სერვისებისადმი, მათ შორის თავშესაფრებზე, იურიდიულ დახმარებაზე, ჯანდაცვასა და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერაზე შეზღუდული წვდომა.

აღნიშნულ პირობებში საზოგადოებრივი ან სათემო ლიდერები წარმოადგენენ მნიშვნელოვან რგოლს და შუამავალს ძალადობის რისკის ქვეშ მყოფ ან ძალადობაგამოვლილ ქალებსა და არსებული მხარდაჭერის სერვისებს შორის. სწორედ მათზე გადის პირველი რეაგირების პასუხისმგებლობა და ნდობის საფუძველზე დამყარებული კომუნიკაცია. თუმცა, შესაბამისი პროფესიული ცოდნისა და უნარების გარეშე, არსებობს რისკი, რომ თემის წარმომადგენლებმა ვერ შეძლონ ძალადობის შემთხვევების დროული და ზუსტი ამოცნობა, სათანადო რეაგირების სტრატეგიების დასახვა და გამოყენება ან დაზარალებული ქალების უსაფრთხო და ეფექტიანი მხარდაჭერა, მათთვის საჭირო სერვისებზე სწორად გადამისამართების ჩათვლით.

შესაბამისად, წინამდებარე გზამკვლევი მიზნად ისახავს სათემო ლიდერების, როგორც პრაქტიკაში მოქმედი პარასპეციალისტების, სოციალური მუშაობისთვის მომზადებას, მათ აღჭურვას აუცილებელი ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით, რაც ხელს შეუწყობს მათი როლის გაძლიერებას ოჯახში ძალადობის პრევენციისა და დაზარალებულთა მხარდაჭერის სისტემაში.

## თავი I. პარასპეციალისტების სოციალური მუშაობის არსი

### 1.1. ვინ არის პარასპეციალისტი სოციალური მუშაკი?

პარასპეციალისტები სოციალური მუშაობის სფეროში არიან ის პირები, რომლებიც არ ფლობენ სოციალური მუშაობის აკადემიურ ხარისხს ან პროფესიულ ლიცენზიას, თუმცა, მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოწყვლად ჯგუფებთან მუშაობაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი ფუნქცია ისეთ პირობებში, სადაც სოციალური მომსახურება არ არის ჯეროვნად ხელმისაწვდომი, ან საკმაოდ შეზღუდულია. სწორედ ასეთ გარემოში პარასპეციალისტი წარმოადგენს ქალების, მათ შორის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ან რისკის ქვეშ მყოფთა პირველ საკონტაქტო პირს.

პარასპეციალისტები უზრუნველყოფენ ქალების ინფორმირებას, ემოციურ მხარდაჭერას და საჭირო სერვისებზე სათანადო გადამისამართებას. ისინი არიან გადამზადებული პირები, რომლებიც კარგად იცნობენ ოჯახში ძალადობის ბუნებას, გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებს და შეუძლიათ ქალთა საჭიროებაზე ორიენტირებული დროული და პრაქტიკული დახმარების გაწევა.

პარასპეციალისტების სოციალური მუშაობის ძირითად კომპონენტებს მიეკუთვნება:

- ოჯახში ძალადობის ადრეული ნიშნებისა და კრიზისული მდგომარეობის ამოცნობა;
- პირველადი ემოციური მხარდაჭერის გაწევა პროფესიული საზღვრების დაცვით;
- ქალებისთვის მათი უფლებების, სამართლებრივი დაცვის მექანიზმებისა და არსებული მხარდაჭერის სერვისების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;



- იურიდიულ, ფსიქოლოგიურ, სამედიცინო და თავშესაფრის სერვისებზე წვდომის ხელშეწყობა;
- საზოგადოებაში ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლება.

პარასპეციალისტები წარმოადგენენ იმ პირველად რგოლს, რომელიც უზრუნველყოფს ქალების დროულ მხარდაჭერას, აძლიერებს მათ შესაძლებლობებს და ხელს უწყობს საზოგადოების ცნობიერებისა და დამოკიდებულებების ცვლილებას ოჯახში ძალადობის საკითხის მიმართ.

## **1.2. სათემო ლიდერის, როგორც სოციალური სფეროს პარასპეციალისტის, როლი**

სათემო ლიდერები, რომლებიც აქტიურად მუშაობენ ქალებთან ოჯახში ძალადობის პრევენციისა და რეაგირების მიმართულებით, პრაქტიკაში ასრულებენ სოციალური მუშაობის პარასპეციალისტის ფუნქციას. მათი ჩართულობა მოიცავს როგორც ინდივიდუალურ მხარდაჭერას, ასევე თემის დონეზე ცნობიერების ამაღლებასა და მულტისექტორულ თანამშრომლობას. ეს როლი მოითხოვს პროფესიულად გააზრებულ მიდგომას, ქალების მხრიდან სანდოობას, ეთიკური პრინციპების დაცვასა და კომპეტენტურობას.

### **პარასპეციალისტის ძირითადი ამოცანებია:**

- ⇒ **პარასპეციალისტს უნდა შეეძლოს ძალადობის შესაძლო ნიშნების ამოცნობა** ქალთან ყოველდღიური, ხშირად არაფორმალური ურთიერთობების დროსაც კი. მსგავსი ნიშნებია: ემოციური გაუცხოება, თვითდადანაშაულება, მუდმივი შფოთი, ფინანსური დამოკიდებულება, მკვეთრად გამოხატული შიში ან სოციალური იზოლაცია. ამ ნიშნების დროული ამოცნობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ამ ეტაპზე შესაძლებელია, ქალმა პირველად იგრძნოს, რომ მისი მდგომარეობა შემჩნეულია, ხოლო დახმარება - რეალურად ხელმისაწვდომი.

- ⇒ **პარასპეციალისტს უნდა გააჩნდეს ზუსტი და სრულყოფილი ინფორმაცია იმ სამართლებრივი დაცვის მექანიზმებისა და არსებული მხარდაჭერის სერვისების შესახებ, როგორებიცაა: თავშესაფრები, კრიზისული ცენტრები, ჯანდაცვისა და ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრები. ამ ინფორმაციის ადეკვატურად და გასაგებად მიწოდება ქალისთვის ხშირად წარმოადგენს დახმარებისკენ გადადგმულ პირველ და გადამწყვეტ ნაბიჯს.**
- ⇒ **პარასპეციალისტის როლი არ შემოიფარგლება მხოლოდ ინფორმაციის გაზიარებით, მას უნდა შეეძლოს ქალის დაკავშირება შესაბამის ორგანიზაციებთან და სერვისების პროვაიდერებთან, მათ შორის სამართალდამცავ სტრუქტურებთან, იურიდიული დახმარების, სამედიცინო და ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრებთან. მნიშვნელოვანია ასევე პროცესის შემდგომი მონიტორინგი, რათა დაზარალებულმა დროულად და სრულფასოვნად მიიღოს მისთვის საჭირო დახმარება.**
- ⇒ **პარასპეციალისტის პირდაპირი პასუხისმგებლობაა ქალის პირადი სივრცის და კონფიდენციალურობის დაცვა!** დაუშვებელია ინფორმაციის გამჟღავნება მისი წინასწარი თანხმობის გარეშე. საკითხთან მიმართებით აუცილებელია მიუკერძოებელი და პატივისცემაზე დაფუძნებული დამოკიდებულება. პარასპეციალისტიმა უნდა გააძლიეროს ქალი, მისცეს არჩევანის შესაძლებლობა და არ მიიღოს მის ნაცვლად გადაწყვეტილებები.

**„ქალის პირველი ნაბიჯი უსაფრთხოებისკენ და ცვლილებისკენ ხშირად სწორედ პარასპეციალისტის მხარდაჭერით იწყება“.**

## თავი 2. პარასპეციალისტის ძირითადი უნარები სოციალურ გუშაობაში

ოჯახში ძალადობის რისკის ქვეშ მყოფ და ძალადობაგამოვლილ ქალებთან ეფექტიანი მუშაობა მოითხოვს არა მხოლოდ კეთილგანწყობას, ემპათიასა და გულწრფელ მზაობას დახმარებისთვის, არამედ პროფესიულ უნარებსა და მეთოდურ მიდგომას. პარასპეციალისტის ჩართულობა ხშირად გადამწყვეტია ქალისთვის პირველი მხარდაჭერის ეტაპზე, რაც საჭიროებს იმ უნარების განვითარებას, რომლებიც უზრუნველყოფს ნდობაზე დაფუძნებული, უსაფრთხო, შედეგზე ორიენტირებული, ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარებას.

ამ თავში წარმოდგენილია ის ხუთი ძირითადი უნარი, რომელიც აუცილებელია ქალებთან სენსიტიური და პასუხისმგებლიანი მუშაობისთვის:

### 2.1. აქტიური მოსმენა და ეფექტიანი კომუნიკაცია

აქტიური მოსმენა გულისხმობს არა მხოლოდ მოსაუბრის ყურადღებით მოსმენას, არამედ მისი განცდების გააზრებას, თანაგრძნობით მიღებას და პასუხის გაცემას ისე, რომ ქალმა თავი უსაფრთხოდ, ღირსეულად და მხარდაჭერილად იგრძნოს.

**აქტიური მოსმენის ტექნიკას რამდენიმე ძირითადი ელემენტი განსაზღვრავს, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალთან უსაფრთხო და ემპათიური კომუნიკაციისთვის:**

- ⇒ მოსაუბრისთვის სრული ყურადღების მიქცევა და თვალის კონტაქტის დამყარება;
- ⇒ თანაგრძნობის გადმოსაცემად შესაბამისი ჟესტების და მიმიკის გამოყენება (მაგალითად, თანხმობის გამომხატველი თავის ქნევა ან კეთილგანწყობილი გამომეტყველება);
- ⇒ მოსაუბრისთვის შესაძლებლობის მიცემა, თავისი სათქმელი თავისუფლად გადმოსცეს - ჩარევის, გადაფარვისა და შეფასების გარეშე;

- ⇒ მოყოლილის გადამოწმება ან შეჯამება მხარდაჭერის ტონით (მაგალითად: „თუ სწორად გავიგე, ფიქრობთ, რომ ფინანსურად ხართ შეზღუდული და თავს გამოუვალ მდგომარეობაში გრძნობთ?“);
- ⇒ ღია კითხვების დასმა, რაც ქალს საკუთარ განცდებზე უფრო თავისუფლად და ღრმად საუბრის შესაძლებლობას მისცემს (მაგალითად, „შეგიძლია მიაბო, რა გაწუხებს ყველაზე მეტად ამ ეტაპზე? ან „რას ფიქრობ, რა დაგეხმარებოდა ახლა ყველაზე მეტად?“);
- ⇒ პაუზის გამოყენება - სივრცის დატოვება, რათა ქალს საშუალება მიეცეს, მოიფიქროს, დააღაგოს აზრები და თავისუფლად გამოხატოს სათქმელი.

### **რატომ არის აქტიური მოსმენა მნიშვნელოვანი?**

- აძლიერებს ნდობას;
- ამცირებს სტრესს და იზოლაციის განცდას;
- აძლევს პარასპეციალისტს საჭირო ინფორმაციას დასახმარებლად;
- ხელს უწყობს ქალის შიდა რესურსების გააქტიურებას.

### **2.2. ნდობისა და ემოციური კავშირის ჩამოყალიბება**

ნდობა არის პარასპეციალისტსა და ქალს შორის ურთიერთობის ქვაკუთხედი. ძალადობის გამოცდილების მქონე ბევრი ქალი დახმარების თხოვნას სიფრთხილით და უნდობლობით უდგება. ზოგისთვის წარსულში დახმარებაზე უარი უთქვამთ, ზოგს შეურაცხყოფა გამოუცდია, ან მართოდ გრძნობს თავს.

პარასპეციალისტისთვის აუცილებელია **მომთმენი, თანმიმდევრული და ემპათიური მიდგომა**, რათა ქალმა იგრძნოს, რომ ეს სივრცე დაცულია და ადამიანი მასზე რეალურად ზრუნავს. ნდობა არ ყალიბდება მყისიერად. ის მოითხოვს მოთმინებას, პატივისცემას და თანამონაწილეობას.

## **ნდობის ჩამოსაყალიბებლად ეფექტიანი პრაქტიკაა:**

- **დაპირებების დროული შესრულება**, რათა ქალმა იგრძნოს მის მიმართ პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება;
- **ინფორმაციის კონფიდენციალურად შენახვა**. ქალი უნდა იყოს დარწმუნებული, რომ, ყველაფერი, რაზეც საუბრობს, არ გასაჯაროვდება მისი თანხმობის გარეშე;
- **პირადი სივრცის დაცვა** - არ დაუსვათ ქალი ზედმეტად პირადი კითხვები და მიეცით საშუალება, თავად გადაწყვიტოს, როდის და რაზე ისაუბრებს;
- **მხარდაჭერაზე დაფუძნებული კომუნიკაცია**. არ მისცეთ მითითებები ან შეფასებები. დაეხმარეთ მას, თავად მიიღოს გადაწყვეტილება;
- **უსაფრთხო გარემოს შექმნა**. ქალთან საუბარი უნდა წარიმართოს მშვიდ, კონფიდენციალურ გარემოში, სადაც მას არ ექნება შფოთვისა და საფრთხის განცდა.

### **2.3. ემპათია და მიუკერძოებელი მიდგომა**

ძალადობის გადატანის შემდეგ ბევრი ქალი თავს დამნაშავედ გრძნობს, საკუთარ თავში იკეტება ან ეშინია, რომ ვიღაც გააკრიტიკებს. სწორედ ამიტომ პარასპეციალისტი სთავის გადამწყვეტია ურთიერთობის იმგვარად წარმართვა, რომ ქალი გრძნობდეს უპირობო მხარდაჭერას და არა შეფასებას ან განსჯას.

ემპათია ნიშნავს, რომ **ქალის განცდები მიღებულია ისეთად, როგორიც არის**, მისგან თავის მართლების ან განმარტების მოთხოვნის გარეშე.

#### **ემპათიური და მიუკერძოებელი მიდგომის ძირითადი პრინციპებია:**

- **ქალის ემოციების მიღება** - თანაგრძნობა და პატივისცემა მისი განცდების მიმართ, ყოველგვარი შეფასებისა თუ განმარტების მოთხოვნის გარეშე;

- **შეფასებისა და დაკითხვისგან თავის შეკავება** - მიუღებელია ასეთი კითხვები: „რატომ არ წახვედი?“ ან: „რატომ ითმენდი ამდენი ხანი?“, ან: „მაშინვე რატომ არ განაცხადე?“;
- **ძალადობრივი გარემოს სირთულის კარგად გააზრება** - მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ქალს შეიძლება მრავალი დაბრკოლება უშლიდეს ხელს გადაწყვეტილების მიღებაში;
- **ქალის მხარდაჭერა, მიუხედავად მისი არჩევანისა** - პარასპეციალისტის როლია მხარდაჭერა და არა მისი არჩევანის შეფასება ან შეცვლა.

#### **2.4. პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობა**

პარასპეციალისტის როლი არ არის ქალის ნაცვლად გადაწყვეტილებების მიღება. მისი ამოცანაა, დაეხმაროს ქალს სიტუაციის გააზრებაში, არჩევანის გაკეთებასა და შემდეგი ნაბიჯების დაგეგმვაში.

**მნიშვნელოვანი ეტაპებია:**

- **ქალის ძირითადი სირთულების ზუსტად გარკვევა** - მაგალითად: შვილების უსაფრთხოება, საცხოვრებლის პრობლემა, ფინანსური დამოკიდებულება ან სამართლებრივი საკითხები;
- **საუბარი შესაძლო გამოსავალზე** - როგორ დახმარებას სთავაზობს სახელმწიფო ან არასამთავრობო სერვისები: თავშესაფარი, იურიდიული დახმარება, ფსიქოლოგიური მხარდაჭერა;
- **ქალის გადაწყვეტილების პატივისცემა და წახალისება** - ის თავად ირჩევს, რა გზით იმოქმედოს და როდის;
- **მხარდაჭერა საჭირო სერვისებთან დაკავშირებაში** - თუ საჭიროა, პარასპეციალისტი შეიძლება დაეხმაროს მას სპეციალისტთან დაკავშირებაში ან საჭირო პროცედურის დაწყებაში.

## 2.5. კონფლიქტების მართვა და მხარდაჭერა რთულ სიტუაციებში

პარასპეციალისტს ხშირად უწევს ქალის გვერდში დგომა მაშინაც, როცა ის რთულ ოჯახურ გარემოში ან დაძაბულ, კონფლიქტურ ურთიერთობაში იმყოფება, მაგალითად, ყოფილ პარტნიორთან, ახლობლებთან ან ოჯახის სხვა წევრებთან.

პარასპეციალისტი ვერ წყვეტს კონფლიქტს პროფესიონალი მედიატორივით, მაგრამ მისი როლია ქალის გაძლიერება, ემოციური მხარდაჭერა და იმ გარემოს შექმნა, სადაც ქალს შეუძლია იფიქროს საკუთარ უსაფრთხოებაზე და გადადგას საჭირო ნაბიჯები.

**რას უნდა მიაქციოს ყურადღება პარასპეციალისტმა:**

- **ნეიტრალური დამოკიდებულება!** არ უნდა მივიღოთ რომელიმე მხარე; მხარდაჭერა მხოლოდ ქალის კეთილდღეობასა და დაცულობაზე უნდა იყოს ორიენტირებული;
- **უსაფრთხოების პრიორიტეტი!** თუ არსებობს დაძაბულობა, აგრესია ან ძალადობის საფრთხე, პირველია ქალის უსაფრთხოება და კრიზისზე რეაგირება;
- **დამხმარე როლი კომუნიკაციისას** - პარასპეციალისტს შეუძლია დაეხმაროს ქალს, დააღაგოს საკუთარი აზრები და გაიზაროს, რა სურს და როგორ დააფიქსიროს თავისი პოზიცია რთულ საუბარში;
- **თუ სიტუაცია პარასპეციალისტის კომპეტენციას სცდება, პარასპეციალისტმა უნდა მიაწოდოს ქალს ინფორმაცია პროფესიული დახმარების შესაძლებლობებზე** (იურისტი, სოციალური მუშაკი, პოლიცია) და, საჭიროების შემთხვევაში, წაახალისოს ამ სერვისებთან დაკავშირება.

## თავი 3. ტრავმაზე ორიენტირებული მიდგომა სოციალურ მუშაობაში

ძალადობაგამოვლილი ქალების უმეტესობა არაერთ მნიშვნელოვან ტრავმულ გამოცდილებას ატარებს, რომელიც არა მხოლოდ მათ ემოციურ ფონს, არამედ აღქმას, რეაგირებასა და გადაწყვეტილებების მიღების უნარსაც აყალიბებს.

### რა არის ტრავმა?

ტრავმა არის ძლიერი ფსიქოლოგიური და ფიზიკური რეაქცია მტკივნეულ გამოცდილებაზე, რომელმაც ქალს შესაძლოა თავი აგრძნობინოს დაუცველად, შეშინებულად ან უმწეოდ, განსაკუთრებით მაშინ, როცა მან ვერ შეძლო საკუთარი თავის დაცვა ან სიტუაციის გაკონტროლება.

ოჯახში ძალადობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის ახლობელი ადამიანისგან მომდინარეობს და განმეორებითი და ხანგრძლივია, ტოვებს ღრმა ემოციურ ჭრილობებს და გავლენას ახდენს ქალის ყოველდღიურ ფიქრებსა და გადაწყვეტილებებზე.

ტრავმა ყოველთვის არ ვლინდება გარეგნულად. ხშირად ის აისახება ქალის ქცევაში, ემოციებში, გადაწყვეტილებების მიღების უნარში და იმ ქმედებებში, რომლითაც იგი რეაგირებს გარესამყაროსთან ურთიერთობაზე.

- ქალს შესაძლოა ჰქონდეს **შფოთვა, დაბნეულობა, განგაშის მუდმივი განცდა;**
- მას უჭირს გადაწყვეტილებების მიღება, ან **არ ენდობა ადამიანებს;**
- ხშირად უჭირს **საკუთარი უფლებების დაცვა**, რადგან ადრე ამას საფრთხე მოჰყვა;
- ქალს შეიძლება ეჩვენებოდეს, რომ ის **არ იმსახურებს დახმარებას**, რადგან თავად „დაუშვა“ ძალადობა.



**ტრავმის გავლენის გაუთვალისწინებლობამ, შესაძლოა, ქალს დამატებითი ზიანი მიაყენოს, გაადრმავოს შიში, დაბნეულობა ან უნდობლობა. პარასპეციალისტმა უნდა იცოდეს, როგორ იმოქმედოს თანაგრძნობით, სიფრთხილით და ტრავმაზე ორიენტირებული მიდგომის შესაბამისად.**

### **ტრავმაზე ორიენტირებული მიდგომის ძირითადი პრინციპები**

ტრავმაზე მგრძნობიარე მუშაობა არ ნიშნავს მხოლოდ სიტბო-სა და თანაგრძნობას. ეს არის **კონკრეტული მიდგომების სისტემა**, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოებას, პატივისცემას და რეალურ მხარდაჭერას ქალისთვის.

#### **⇒ ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების უზრუნველყოფა**

ქალი უნდა გრძნობდეს, რომ არც ერთ შემთხვევაში არ ემუქრება საფრთხე ან განსჯა. საუბარი უნდა შედგეს მყუდრო და კონფიდენციალურ გარემოში, სადაც დაცულია მისი პირადი სივრცე. პარასპეციალისტის დამოკიდებულება უნდა იყოს მშვიდი და ყურადღებიანი, რათა ქალს არ გაუჩნდეს შიში, ეჭვი ან უხერხულობა.

#### **⇒ ნდობის შექმნა და გამჭვირვალობა**

პარასპეციალისტმა არ უნდა მისცეს ქალს დაპირება, რომლის შესრულებაც თავად არ შეუძლია. მნიშვნელოვანია, ნებისმიერ ქმედებას წინ უძღოდეს ქალთან ღია და გულწრფელი განმარტება, რას აკეთებს და რატომ. ნდობა იქმნება მაშინ, როცა ქალი გრძნობს, რომ მისი გამოცდილება პატივისცემით მიიღება და მის შესახებ ინფორმაცია არ გავრცელდება მისი ნების საწინააღმდეგოდ.

#### **⇒ გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების ხელშეწყობა და ქალის გაძლიერება**

პარასპეციალისტის როლი არ არის გადაწყვეტილებების მიღება ქალის ნაცვლად. ქალს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, თა-

ვად განსაზღვროს, რა არის მისთვის სწორი და მისაღები. მიზანი არის არა მითითებების გაცემა, არამედ ქალის გაძლიერება, საიმისოდ, რომ მან თავად აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ არჩევანზე და გრძნობდეს, რომ ამ პროცესში არ არის მარტო, გვერდით ყოველთვის იქნება ადამიანი, რომელიც მხარდაჭერას გაუწევს.

⇒ **ქალის ინდივიდუალური გამოცდილების და კულტურული კონტექსტის გათვალისწინება**

თითოეული ქალის ისტორია, არჩევანი და გარემოებები განსხვავებულია. კულტურული ტრადიციები, ოჯახური წნეხი ან სოციალური მოლოდინები ხშირად ზღუდავს მის შესაძლებლობებს. პარასპეციალისტმა ქალთან ურთიერთობაში უნდა გამოიჩინოს სიფრთხილე და არ უნდა იხელმძღვანელოს ზოგადი სტერეოტიპებით. მისი მიზანი უნდა იყოს მხარდაჭერის ისეთი ფორმის შერჩევა, რომელიც მაქსიმალურად შეესაბამება ქალის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და მის რეალურ კონტექსტს.

⇒ **ზედმეტი ზეწოლისა და სტრესის თავიდან აცილება**

ძალადობაზე საუბარი ხშირად უმძიმესი და ემოციურად დამთრგუნველია. ქალი შესაძლოა ჯერ არ იყოს მზად, დეტალურად ილაპარაკოს გადატანილ ტკივილზე.

პარასპეციალისტმა არ უნდა დააჩქაროს პროცესი, არ უნდა მოსთხოვოს მას ისეთი საკითხების გახსენება ან მოყოლა, რისთვისაც ის ჯერ არ არის ემოციურად მზად.

მნიშვნელოვანია, ქალს მიეცეს დრო და სივრცე, რათა იგრძნოს, რომ მის სათქმელს გულწრფელად უსმენენ. კომუნიკაცია უნდა იყოს ფრთხილი და მხარდაჭერაზე ორიენტირებული, ისე, რომ არ გაამწვავოს მისთვის მტკივნეული გამოცდილება და არ გაუძლიეროს შიში ან წარსულთან დაკავშირებული ტკივილები.

## თავი 4. უსაფრთხოების გეგმის შედგენა

**უსაფრთხოების გეგმა** არის ინდივიდუალურად მორგებული, პრაქტიკული სტრატეგია, რომელიც ეხმარება ქალს, თავიდან აიცილოს საფრთხე, განსაზღვროს საკვანძო ნაბიჯები და საჭიროების შემთხვევაში სწრაფად იმოქმედოს. უსაფრთხოების დაგეგმვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როცა ქალი:

- აგრძელებს თანაცხოვრებას ძალადობრივ გარემოში;
- განიხილავს იმ გარემოდან გამოსვლას;
- უკვე ჩამოშორებულია მოძალადეს, მაგრამ საფრთხე კვლავ არსებობს.

**პარასპეციალისტის ამოცანაა, დაეხმაროს ქალს, გააზრებულად და დამოუკიდებლად შეადგინოს უსაფრთხოების გეგმა, რომელიც ემყარება მის საჭიროებებს, შესაძლებლობებსა და პირად გამოცდილებას.**

### უსაფრთხოების გეგმის ძირითადი ელემენტები:

- **საგანგებო კონტაქტები** - მეგობრის, მეზობლის, თავშესაფრის, იურიდიული დახმარების ნომრები, რომლებიც ქალს ეცოდინება ზეპირად ან ადვილად ხელმისაწვდომია მისთვის;
- **უსაფრთხო ადგილების განსაზღვრა** - ახლოობის სახლი, თავშესაფარი ან საჯარო სივრცე, სადაც სწრაფად და უსაფრთხოდ შეძლებს მისვლას;
- **აუცილებელი ნივთების მომზადება** - უსაფრთხო ადგილას შენახული ჩანთა, სადაც იქნება პირადობის მოწმობა, ფული, მედიკამენტები და სხვა აუცილებელი ნივთები;
- **გასაქცევი გეგმა** - როდის და როგორ შეუძლია სახლიდან უსაფრთხოდ გასვლა;
- **საიდუმლო ან „კოდური სიტყვა“** - წინასწარ შეთანხმებული სიტყვა ახლობელთან, რომელიც მიანიშნებს, რომ დახმარება სჭირდება.

**როგორ იცვლება უსაფრთხოების გეგმა,  
ქალის მდგომარეობიდან გამომდინარე:**

- **თუ ქალი კვლავ ცხოვრობს მოძალადესთან:** მნიშვნელოვანია, რომ ქალმა შეძლოს საფრთხის მინიმალიზაცია. მაგალითად, საჭიროების შემთხვევაში, მოახერხოს ისეთი სივრციდან გასვლა (მაგ., სამზარეულო ან აბაზანა), სადაც მოძალადეს შეიძლება ხელთ ჰქონდეს ბასრი ან მძიმე საგნები. მნიშვნელოვანია ტელეფონის უსაფრთხოდ შენახვა ისე, რომ საჭიროების შემთხვევაში ხელმისაწვდომი იყოს მხოლოდ ქალისთვის; ბავშვების ინფორმირება, როგორ მოიქცნენ საფრთხის დროს - ვის მიმართონ.
- **თუ ქალი განიხილავს ძალადობრივი გარემოს დატოვებას:** პარასპეციალისტი უნდა დაეხმაროს მას ისეთი მოქმედებების წინასწარ დაგეგმვაში, რომლებიც უზრუნველყოფს მის უსაფრთხოებას. ეს ნიშნავს, რომ ქალმა უნდა იცოდეს, ვისთან შეიძლება დროებით დარჩენა, რა ნივთები დასჭირდება თან წასაღებად და როგორ შეძლებს საჭიროების შემთხვევაში სწრაფად გადაადგილებას.
- **თუ ქალი უკვე ჩამოშორებულია მოძალადეს:** ძალადობა ზოგჯერ არ მთავრდება დაშორებით. ის შეიძლება გაგრძელდეს თვალთვალის, მუქარის, ზეწოლის ან სხვა მანიპულაციური ქმედებების ფორმით. ასეთ შემთხვევებში რეკომენდებულია სახლის საკეტების შეცვლა, ტელეფონისა და სოციალური ქსელების უსაფრთხოების პარამეტრების განახლება, საჭიროების შემთხვევაში - სამართლებრივი მექანიზმების გამოყენება და ადგილობრივი მხარდაჭერის სერვისებთან დაკავშირება.

## თავი 5. გადამისამართება და თანამშრომლობა მომსახურების მიწოდებლებთან

ოჯახში ძალადობის შემთხვევაში სრულფასოვანი დახმარება მხოლოდ ერთ დაწესებულებას ან პიროვნებას არ შეუძლია. პარასპეციალისტის როლი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ დააკავშიროს ქალი შესაბამის პროფესიულ სერვისებთან — იურიდიული დახმარება, თავშესაფარი, ფსიქოლოგიური მომსახურება, სამედიცინო დახმარება და, საჭიროების შემთხვევაში, სამართალდამცავი ორგანოები.

### 5.1. ვისთან უნდა მოხდეს გადამისამართება

პარასპეციალისტმა უნდა იცოდეს, როგორ მუშაობს სხვადასხვა სერვისი და რაში შეიძლება იყოს ის კონკრეტულ შემთხვევაში სასარგებლო:

<b>მომსახურება</b>	<b>რას სთავაზობს ქალს?</b>
<b>პოლიცია</b>	გადაუდებელ რეაგირებას, შემაკავებელ ორდერს, სამართლებრივ დაცვას, შემთხვევის გამოძიებას
<b>თავშესაფრები</b>	დროებით დაცულ სივრცეს, საკვებს, იურიდიულ/სოციალურ/ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას
<b>იურიდიული დახმარება</b>	სამართლებრივ კონსულტაციას განქორწინების, მეურვეობის, ქონებრივი, სხვა სამართლებრივი საკითხების ირგვლივ
<b>ფსიქოლოგიური მომსახურება</b>	ემოციურ და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას, ტრავმასთან გამკლავების გზებზე მუშაობას, მშობლის რესურსების გაძლიერებას ბავშვის ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე ზრუნვის კუთხით

მომსახურება	რას სთავაზობს ქალს?
<b>ჯანდაცვა</b>	ფიზიკური დაზიანებების მკურნალობას, ზოგად და გინეკოლოგიურ დახმარებას, საჭიროების შემთხვევაში - გადამისამართებას სპეციალიზებულ სამედიცინო დაწესებულებებსა და, საჭიროებისამებრ, სამართალდამცავ სტრუქტურებთან
<b>ქალთა ორგანიზაციები</b>	სამართლებრივ და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას, თავშესაფრისა და სარეაბილიტაციო ცენტრების მომსახურებას, ფინანსურ დახმარებას (შესაძლებლობის შემთხვევაში) ინფორმირებულობას ხელმისაწვდომ სერვისებზე, ჩართვას სოციალური და ეკონომიკური გაძლიერების პროგრამებში და ა.შ.
<b>ადგილობრივი თვითმმართველობა</b>	სოციალურ და ფინანსურ დახმარებას, საკვებით ან პირველადი საჭიროების ნივთებით უზრუნველყოფას, საცხოვრებლის ქირის ან სხვა აუცილებელი საჭიროებების დაფინანსებას <i>(გასათვალისწინებელია, რომ ეს პროგრამები განსხვავდება მუნიციპალიტეტების მიხედვით)</i>

## 5.2. როგორ ჩამოვყალიბოთ სანდო გადამისამართების ქსელი

- შეაგროვეთ სანდო სერვისების სია - თავშესაფრები/კრიზისული ცენტრები, იურიდიული და ფსიქოლოგიური დახმარების სერვისები, ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები, კლინიკები, სოციალური ცენტრები, მუნიციპალური პროგრამები და სერვისები და ა.შ.

- დაეკონტაქტეთ კონკრეტულ სპეციალისტებს - იურისტებს, სოციალურ მუშაკებს, ფსიქოლოგებს;
- გაიგეთ სერვისების მოცულობა, მუშაობის დრო და სერვისის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის ნუსხა;
- ქალთან ერთად განიხილეთ შესაძლებლობები - დარწმუნდით, რომ მან იცის, რას შეიძლება ელოდოს;
- შეიმუშავეთ თანამშრომლობის ფორმა - ფორმალური (მაგ., თანამშრომლობის მემორანდუმი) თუ არაფორმალური კომუნიკაცია.

### 5.3. გადამისამართების პრაქტიკული რეკომენდაციები

- ✓ ყოველთვის ჰკითხეთ ქალს თანხმობა ინფორმაციის გაზიარებაზე
- ✓ განუმარტეთ, რას აკეთებს კონკრეტული სერვისი და რას შეიძლება ელოდოს
- ✓ საჭიროების შემთხვევაში დაეხმარეთ მომსახურების პოვნაში, მომსახურების მომწოდებელთან კომუნიკაციაში, დოკუმენტების შეგროვებაში
- ✓ შემდგომში გადაამოწმეთ, რამდენად მიიღო დახმარება და იყო თუ არა კმაყოფილი.

### კონფიდენციალურობისა და თანხმობის დაცვა

- ✗ არასდროს გაამჟღავნოთ ქალის მონაცემები მისი თანხმობის გარეშე
- ✗ არ დააძალოთ მომსახურებით სარგებლობა
- ✗ არ გაავრცელოთ ინფორმაცია თემში, ოჯახში, საზოგადოებაში

- ✓ დარწმუნდით, რომ ქალს ესმის, რას უზიარებთ და რატომ
- ✓ თავად გადაწყვიტოს, რომელ სერვისზე სურს წვდომა
- ✓ მნიშვნელოვანია გადამისამართება არ გახდეს საფრთხის წყარო

**გადამისამართება არ ნიშნავს დახმარების დასრულებას.**

**მნიშვნელოვანია:**

- დაუკავშირდეთ ქალს და დაინტერესდეთ, შეძლო თუ არა შესაბამისი სერვისის მიღება;
- თუ რაღაცამ ვერ იმუშავა, დაეხმარეთ ალტერნატიული ვარიანტის მოძიებაში.

### **შენიშვნა პარასპეციალისტებისთვის**

ქალთან მუშაობისას, მისი თანხმობის შემთხვევაში, შეიძლება საჭირო გახდეს მოკლე ჩანაწერის გაკეთება. მაგალითად, რა სახის დახმარება მოითხოვა, სად და ვისთან იქნა გადამისამართებული, ან როდის არის დაგეგმილი მასთან ხელახლა დაკავშირება ან შესაბამისი სერვისის მიწოდება.

არ შეინახოთ ქალის სახელი, მისამართი, ტელეფონის ნომერი ან სხვა პერსონალური მონაცემი. თუ შესაძლებელია, ურჩიეთ ქალს, თავად შეინახოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია უსაფრთხო ადგილას.

**ყოველთვის დაიცავით ქალის კონფიდენციალურობა და იმოქმედეთ ისე, რომ ჩანაწერი არ გახდეს მისი უსაფრთხოების რისკის წყარო.**



## თავი 6. მხარდაჭერის სტრატეგიები განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ქალებისთვის

ოჯახში ძალადობის რისკის ქვეშ მყოფ ქალთა ნაწილი ეკუთვნის განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებს, რომლებსაც დამატებითი ბარიერები და სირთულეები ექმნებათ დახმარების მიღებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში. ესენია **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები, იძულებით გადაადგილებული ქალები, ხანდაზმულები და ქალები, რომლებიც იზოლირებულ ან სოციალურად მარგინალიზებულ თემებში ცხოვრობენ.**

ასეთი ჯგუფების მხარდაჭერისას, პარასპეციალისტის ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობაა, გაითვალისწინოს ქალების განსხვავებული საჭიროებები და სპეციფიკური გარემოებები, რაც მნიშვნელოვანია მათი დაცვისა და სათანადო დახმარებაზე წვდომის უზრუნველსაყოფად.

### 6.1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები ხშირად იმყოფებიან ძალადობის ფარული და დაუფიქსირებელი ფორმების რისკის ქვეშ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი სრულად დამოკიდებულნი არიან ოჯახზე ან მზრუნველზე. ინფორმაციის დეფიციტი, გარემოს ფიზიკური ხელშეუწყვდომლობა და საზოგადოებრივი სტიგმა კიდევ უფრო ამძიმებს მათ მდგომარეობას. მნიშვნელოვანია, რომ **პარასპეციალისტებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების მდგომარეობას, რადგან ძალადობის ნიშნები ხშირად რთულად შესამჩნევია. მნიშვნელოვანია დროულად მოხდეს საჭიროებების იდენტიფიცირება და ინდივიდუალური მხარდაჭერის სტრატეგიების დაგეგმვა.

## 6.2. იძულებით გადაადგილებული ქალები (ღევნილები)

იძულებით გადაადგილებული ქალები ხშირად ცხოვრობენ არასტაბილურ, გადატვირთულ და პირადი სივრცისაგან მოკლებულ გარემოში, რაც ზრდის ძალადობის რისკებს და ართულებს დახმარებაზე მიმართვის შესაძლებლობას. მათ შეიძლება აკლდეთ სანდო სოციალური მხარდაჭერა, ინფორმაციაზე წვდომა. კოლექტიურ ცენტრებში ან ღევნილთა განსახლების ადგილებში მცხოვრებ ქალებს ხშირად უწევთ მცირე, გადატვირთულ სივრცეში ცხოვრება ოჯახის რამდენიმე წევრთან ერთად, რაც აბრკოლებს მათ პირად კომუნიკაციას, ართულებს ძალადობაზე საუბარს, საჭირო მხარდაჭერის მიღებასა და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მშვიდ გარემოში მიღებას.

**პარასპეციალისტებმა უნდა გაითვალისწინონ** ღევნილთა სპეციფიკური მდგომარეობა, მათ შორის კონფლიქტით გამოწვეული ტრავმა, სტაბილურობის დაკარგვა, დაუცველობის განცდა და ხშირ შემთხვევაში ინსტიტუტებისა და ადამიანების მიმართ გადრმავებული უნდობლობა. მხარდაჭერის სტრატეგია უნდა იყოს მორგებული ქალის რეალურ საჭიროებებს. მაგალითად, კონსულტაციის შეთავაზება მისთვის ხელმისაწვდომ და უსაფრთხო ადგილას, დისტანციური მხარდაჭერის უზრუნველყოფა (ტელეფონით ან ონლაინ) ან, საჭიროების შემთხვევაში, მომსახურების მობილურად უზრუნველყოფის მოთხოვნა, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა თემში შესაბამისი სერვისები არ არსებობს.

## 6.3. ხანდაზმული ქალები

ხანდაზმული ქალები ხშირად ცხოვრობენ ერთ საცხოვრებელ სივრცეში ზრდასრულ შვილებთან ან ოჯახის სხვა წევრებთან და მეტწილად დამოკიდებულნი არიან მათზე ფინანსურად, ფიზიკურად ან ემოციურად. ასეთ გარემოში ძალადობა ხშირად რჩე-

ბა შეუმჩნეველი, იშვიათად აღიქმება პრობლემად და ხშირ შემთხვევაში მიიჩნევა ოჯახის პირად საქმედ, რაც ართულებს მისი გამჟღავნების და დახმარების მიღების შესაძლებლობას.

**პარასპეციალისტმა უნდა გაითვალისწინოს,** რომ ხანდაზმულ ქალებს შეიძლება უჭირდეთ ძალადობის აღიარება ან მასზე საუბარი, განსაკუთრებით თუ მოძალადე ოჯახის წევრია, რომელზეც დამოკიდებულნი არიან. მათთან მუშაობა მოითხოვს სიფრთხილეს, პატივისცემას და ძალადობის სხვადასხვა ფორმის, მათ შორის უგულებელყოფისა და ფინანსური ექსპლუატაციის მკაფიოდ ამოცნობას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ნდობის ჩამოყალიბებას და იმ ინფორმაციის მიწოდებას, რაც მათ რეალურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს.

#### **6.4 ქალები იზოლირებულ ან მარგინალიზებულ თემებში**

მთიან, დიდი ქალაქებიდან მოშორებულ სოფლებში ან ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებ ქალებს ხშირად არ აქვთ წვდომა თავშესაფრებზე, იურიდიულ ან ფსიქოლოგიურ დახმარებაზე. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ქალებს კი დამატებით ენობრივი და კულტურული ბარიერებიც ექმნებათ, რაც ართულებს მათ მდგომარეობას.


**პარასპეციალისტმა უნდა გაითვალისწინოს,** რომ იზოლირებულ თემებში მცხოვრებ ქალებს, განსაკუთრებით კი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, ხშირად არა მხოლოდ გეოგრაფიული, არამედ ენობრივი, კულტურული და სოციალური ბარიერებიც ხვდებათ წინ. მნიშვნელოვანია, კომუნიკაცია იყოს კულტურულად მგრძობიარე, ადაპტირებული და პატივისცემაზე დაფუძნებული. პარასპეციალისტმა ყურადღება უნდა მიაქციოს ნდობის ჩამოყალიბებას და ინფორმაციის ისეთ ფორმატში მიწოდებას, რომელიც ხელმისაწვდომი და გასაგებია კონკრეტული თემისთვის.


## თავი 7. თვითზრუნვა და ემოციური გადატვირთვის პრევენცია კარასკეციალისთავისთვის


ქალებთან მუშაობა, რომლებიც ძალადობას ან მძიმე სოციალურ მდგომარეობას განიცდიან, დაკავშირებულია დიდ ემოციურ დატვირთვასთან. იმისთვის, რომ სხვებს რეალურად დავეხმაროთ ან დავუჭიროთ მხარი, აუცილებელია საკუთარი რესურსების დაცვა და განახლება.


**თვითზრუნვა პროფესიული პასუხისმგებლობის ნაწილია. ის გვაძლევს შესაძლებლობას, შევინარჩუნოთ ძალები და ეფექტიანად გავაგრძელოთ ჩვენი საქმიანობა.**


**ძირითადი რჩევები:**

 **დააწესეთ საზღვრები** - გაითვალისწინეთ, რომ არ იქნებით ყველასთვის და ყოველთვის ხელმისაწვდომი. განსაზღვრეთ დრო, რომელიც მხოლოდ თქვენ გეკუთვნით.

 **ისაუბრეთ სანდო ადამიანთან** - ემოციების გაზიარება და მხარდაჭერის მიღება დაგეხმარებათ დაძაბულობის შემცირებაში.

 **იპოვეთ სიმშვიდე ყოველდღიურობაში** - სეირნობა, მუსიკა, მარტივი რიტუალი, რომელიც შვებას გაძლევთ.

 **დააფასეთ საკუთარი ძალისხმევა** - ხშირად გაიხსენეთ ქალები, რომლებსაც მხარში დაუდექით. თქვენს შრომას რეალური ცვლილება მოაქვს.

 **ნურაფერს დატოვებთ გულში** - ემოციური დაძაბულობა დროთა განმავლობაში გროვდება, გამოთქვით თქვენი განცდები და დაეხმარეთ საკუთარ თავს, როგორც ეხმარებით სხვებს.

**სხვებზე ზრუნვა საკუთარ თავზე ზრუნვით იწყება!**

## სასარგებლო რესურსები და კონტაქტები

### სასწრაფო დახმარება და პოლიცია

112 - დარეკეთ ან გამოიყენეთ აპლიკაცია **112 Georgia** (ხელმისაწვდომია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე).

**SOS** დილაკის მეშვეობით შესაძლებელია ჩუმი განგამის გაგზავნა. ამ ფუნქციის გასააქტიურებლად საჭიროა ტელეფონში ჩართული იყოს **GPS** (ადგილმდებარეობის მიგნების ფუნქცია) და **ინტერნეტი**.

### ოჯახში ძალადობის საკითხებზე ცხელი ხაზი

116 006 - უფასო, 24/7, ანონიმური ზარები (მათ შორის საერთაშორისო ნომრებიდან).

დახმარება ხელმისაწვდომია ქართულ, ინგლისურ, რუსულ, თურქულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, არაბულ და სპარსულ ენებზე.

### სახალხო დამცველი

ტელეფონი: 1481

ელფოსტა: [info@ombudsman.ge](mailto:info@ombudsman.ge)

### სახელმწიფო თავშესაფრები და კრიზისული ცენტრები

ქუთაისი, თბილისი, გორი, ბათუმი, სიღნაღი, მარნეული, ოზურგეთი სერვისები: დროებითი საცხოვრებელი, იურიდიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო დახმარება, საჭიროების შემთხვევაში - პროფესიული გადამზადება და დასაქმებაში ხელშეწყობა

ცხელი ხაზი: 116 006

ტელეფონი: (032) 2 39 53 50

ელფოსტა: [infocareagency@moh.gov.ge](mailto:infocareagency@moh.gov.ge)

### ფსიქოლოგიური კონსულტაცია/ბავშვთა დახმარება

მანდატურის სამსახური – 08 00 00 00 88 (24/7)

ბავშვთა ცხელი ხაზი – 111


## იურიდიული დახმარება (უფასო სახელმწიფო მომსახურება)

ტელეფონი: (032) 2 92 00 55

ელფოსტა: info@legalaid.ge/consultant@legalaid.ge

Facebook: legalaid.ge


## ქალთა ფონდი „სოხუმი“

 ქუთაისში დაფუძნებული ორგანიზაცია, რომელიც **ძალადობაგამოვლილ და რისკის ჯგუფის ქალებს უფასო ფსიქოლოგიურ და იურიდიულ დახმარებას სთავაზობს 10 მუნიციპალიტეტში** ადგილობრივ ქალთა მხარდაჭერის ცენტრების მეშვეობით: წყალტუბო, თერჯოლა, სამტრედია, ჩოხატაური, ქობულეთი, სენაკი, ზუგდიდი, წალენჯიხა, ხობი და ვანი.

 ქუთაისში ფუნქციონირებს **სარეაბილიტაციო ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს:**

- 24-საათიან თავშესაფარსა და რეაბილიტაციას (14-დან 20 დღემდე);
- მომსახურებას ძალადობაგამოვლილი ან ძალადობის მაღალი რისკის ქალებისთვის;
- ფსიქოლოგის, იურისტის და სოციალური მუშაკის მხარდაჭერას;
- ფსიქოსოციალურ მუშაობას მცირეწლოვან ბავშვებთან;
- იურიდიული დოკუმენტების აღდგენას, დასაქმებაში ხელშეწყობას და სხვადასხვა სახელმწიფო, მუნიციპალური თუ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის სერვისებზე წვდომაში დახმარებას.

 საკონტაქტო ნომერი სამუშაო საათებში: 597 405 146

 [www.sosfsokhumi.ge](http://www.sosfsokhumi.ge) – „ძალადობაგამოვლილ ქალთა სერვისების ციფრული რესურსცენტრი“

საიტზე თავმოყრილია ინფორმაცია საქართველოში არსებული სახელმწიფო, მუნიციპალური და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხარდაჭერის სერვისებზე, სამართლებრივი დაცვის მექანიზმებზე, მოქმედ კანონმდებლობაზე. ცხელი ხაზებისა და დახმარების აპლიკაციების შესახებ მონაცემებთან ერთად, წარმოდგენილია ქალთა ეკონომიკური გაძლიერების შესაძლებლობები, ახალგაზრდების განვითარების პროგრამები, სიახლეები და ორგანიზაციები, რომლებიც აქტიურად საქმიანობენ ძალადობაგამოვლილი ქალების მხარდაჭერის მიმართულებით.

### **გამოყენებული წყაროები**

1. გლობალური სოციალური მომსახურების მუშაკთა ალიანსი (GSSWA). *პარასპეციალისტები სოციალურ მომსახურებაში: ძირითადი პრინციპები, ფუნქციები და კომპეტენციები*. მეორე გამოცემა, 2017 წელი. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: <https://ovcsupport.org/wp-content/uploads/2017/02/Para-Professionals-in-the-Social-Service-Workforce-2ndedition.pdf>
2. ვაშინგტონის შტატის ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ კოალიცია. *სოციალური მუშაკის პრაქტიკული გზამკვლევი*, 2019 წელი. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: <https://wscadv.org/wp-content/uploads/2019/01/DCYF-DV-Guide.pdf>
3. ნიუ-ბრანსუიკის სოციალური მუშაკების ასოციაცია. *სოციალური მუშაკების რეგულირების მნიშვნელობა და ტექნიკოსების რეგულირების ინიციატივა*, 2022 წელი. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: <https://www.nbasw-atsnb.ca/assets/Uploads/Final-SWT-Communication-for-Members-EN6.pdf>

4. RoleCatcher.com, *სათემო განვითარების სოციალური მუშაკი – პროფესიული გზამკვლევი*. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: <https://rolecatcher.com/ka/careers/professionals/legal-and-cultural-professionals/social-and-religious-professionals/social-work-and-counselling-professionals/community-development-social-worker/>
5. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია. *სოციალური სამუშაოს პრაქტიკის საფუძვლები – საგანმანათლებლო რესურსი ტრენერებისთვის*, 2011 წელი. ხელმისაწვდომია ბმულზე: [https://tsulearn.wordpress.com/wp-content/uploads/2015/01/e183a1e18390e183aee18394e1839ae1839be183abe183a6e18395e18390e1839ce18394e1839ae1839d\\_e183a1e1839de183aae18398e18390e1839ae183a3e183a0.pdf](https://tsulearn.wordpress.com/wp-content/uploads/2015/01/e183a1e18390e183aee18394e1839ae1839be183abe183a6e18395e18390e1839ce18394e1839ae1839d_e183a1e1839de183aae18398e18390e1839ae183a3e183a0.pdf)

## მენიშვნა

ქალთა მიმართ ძალადობის თემაზე პარასპეციალისტებისთვის განკუთვნილი სპეციალიზებული აკადემიური რესურსები შეზღუდულია, როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო დონეზე. გზამკვლევის შემუშავებისას გამოყენებულ იქნა სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებულია ქალთა მხარდაჭერისა და სოციალური მუშაობის სტანდარტებთან. მასში ასევე ასახულია საქართველოში დაგროვილი პრაქტიკული გამოცდილება და თემის ლიდერების მიერ ადგილობრივ დონეზე განხორციელებული საუკეთესო პრაქტიკები, რაც გზამკვლევს პრაქტიკულად გამოყენებად და კონტექსტზე მორგებულს ხდის.





გზამკვლევი მოამზადა ქალთა ფონდმა „სოხუმმა“ მიმდინარე პროექტის „ძალადობაგამოვლილ ქალთა სერვისების ციფრული რესურსცენტრი“ ფარგლებში, რომელიც მხარდაჭერილია კანადის თანასწორობის ფონდის მიერ.

გზამკვლევზე მუშაობდა:  
**ეკატერინე გამახარია**

რედაქტორი:  
**ლალი შენგელია**

დიზაინი:  
**ლია კოსტავა**

**საკონტაქტო ინფორმაცია:**  
**ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის ქ. 6**  
**ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. #29 ბ, საოფისე ფართი #2**  
**[womansukhumi@gmail.com](mailto:womansukhumi@gmail.com)**  
**[fundsukhumi@bilisi@gmail.com](mailto:fundsukhumi@bilisi@gmail.com)**  
**[www.fsokhumi.ge](http://www.fsokhumi.ge)**  
**[www.facebook.com/fsokhumi](http://www.facebook.com/fsokhumi)**

